პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 6 მაისი № 106 (16846) ფასი 2 კაპ. 1977

ხუთფლელის ადამიანები

ოქტომბრის საიუბილეო მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილ საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულმა საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ ზურაბ ზურაბაშვილის ხელმძღვანელობით ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

საწარმოს ამ ერთ-ერთი ახალგაზრდული ბრიგადის მოწინავე წევრია ამირან დგებუაძე, რომელმაც გადაწყვიტა წლეულს — საიუბილეო წელს პირადი ორწლედის გეგმა შეასრულოს.

სურათზე: სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე, ხარატი ა. დგებუაძე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ჩვენი პრესის დემოკრატიზმი

ბევრი ჩვენი გაზეთი თავისი გამოცემის მონაცემებს ახალ სტრიქონს დაუმატებს: „გამოცემის 61-ე წელი“. ეს გაზეთები ოქტომბრის პირმშო, მისი გამარჯვების თანატოლები არიან. მაგრამ, როგორც იმ წლებში ამბობდნენ, „პროლეტარული პრესის რევოლუციური დღეობების“ აღნიშვნის ტრადიცია უფრო ადრე დაიწყო. ეს იყო ხოცარი გაქანებისა და ძალის იდეური, მატერიალური და ორგანიზაციული მხარდაჭერა, რომელსაც მუშები და მათი ავანგარდი — პარტია თავიანთ შექმნილ „პრავდას“ — როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, რუსეთში პირველი საერთო-პოლიტიკურ ყოველდღიურ მარქსისტულ გაზეთს, მუშათა მოწინავე დემოკრატიის პირველ გაზეთს უწევდნენ.

სწორედ ასე შევიდა თანამედროვე კალენდარში საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღე, მისი ყოველწლიური დღესასწაული და დათვალიერება, რომელიც დიდი იდეურ-პოლიტიკური მნიშვნელობის ტრადიცია გახდა. იგი მკაფიოდ გამოხატავს ახალი, სოციალისტური ტიპის პრესის ჭეშმარიტ პარტიულობასა და მასობრიობას, ხალხურობასა და დემოკრატიზმს, პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას მის საქმიანობაში „ისკრისა“ და პირველი ბოლშევიკური გამოცემებისაგან მემკვიდრეობით მიღებული საუკეთესო თვისებების დაცვისა და განვითარებისათვის.

ჩვენი პრესის სიტყვა გამოხატავს მილიონობით მშრომელის, კომუნიზმის აქტიური მშენებლის, ქვეყნის ნამდვილი ბატონ-პატრონის აზრს, გრძნობებსა და სოციალური გამოცდილებას. საბჭოთა პრესა, როგორც საერთო-პარტიული და საერთო-სახალხო ტრიბუნა, რომელიც ხელმისაწვდომია მშრომელთა უფართოესი ფენებისათვის, მასებთან პარტიისა და ხალხმწიფოს კავშირის განმტკიცებას ნაცადი საშუალებაა, დიდ როლს ასრულებს სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებაში. მხარს უჭერს რა ყოველივე მოწინავეს, ავლენს ნაკლოვანებებს და იღვწის მათი აღმოფხვრისათვის, იგი ამკვიდრებს საბჭოთა ცხოვრების წესს, ხასიათგებლო წესლილი შეაქვს წარმოების, მთელი საზოგადოებრივი საქმეების მართვის სრულყოფაში, ხელს უწყობს სოციალისტური სახალხო ხელისუფლების შესაძლებლობათა განხორციელებას.

მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, ქვეყნის მთელ ცხოვრებაზე მათი ზემოქმედება განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელი წლების მაძიებლზე. ეს სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულების, პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სისტემის თანამიმდევრული სრულყოფის შედეგია. დღეს, როგორც აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მისთვის სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის საწევრო ბილეთის გადაცემის დროს, საბჭოთა პრესის, რადიოს, ტელევიზიის, საინფორმაციო სააგენტოების მუშაკები პოლიტბიუროს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით დიდ მუშაობას უწევენ მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროპაგანდისათვის, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადასაწყვეტად საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის მობილიზაციისათვის.

მთელი ეს მუშაობა უფრო ენერგიულად, ინიციატივიანად, მიზანდასახულად უნდა შევასრულოთ, შემოქმედებითი მეცადინეობა მოვაზმაროთ ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის ძირითად პრობლემებს, სოციალისტური შეჯიბრების მოწყობას, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდას. საბჭოთა პრესის ძალების ახლანდელმა დათვალიერებამ დიდი მომთხოვნელობის ნიშნით უნდა ჩაიაროს, ხელი უნდა შეუწყოს იმას, რომ გაზეთების ფურცლებზე, ეთერში, ტელევიზორთა ეკრანებზე უფრო ნათლად ისახებოდეს ჩვენი თანამედროვეების სახელოვანი მიღწევები, უფრო მძლავრად ეღერღეს მშრომელი ადამიანის ხმა. საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ პრესის საზოგადოებრივი ძალა მუშაობის ლენინური სტილის, საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების საუკეთესო მაგალითების დამკვიდრებისათვის.

ჩვენი დრო საზოგადოების ცხოვრებაში დინამიკური და ღრმა გარდაქმნების დროა, იგი ახალ, უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს ჟურნალისტიკას. მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებების დღევანდელი საქმიანობის მთავარი მიმართულებები ყოველმხრივ არის დახასიათებული XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, აგრეთვე ყრილობის შემდეგ მიღებულ უმნიშვნელოვანეს პარტიულ დოკუმენტებში; ისინი გვაძლევს ჟურნალისტიკურ საქმის, პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ყველა რგოლისა და ელემენტის თვისებრივი სრულყოფის საშუალებას.

საბჭოთა ჟურნალისტებს აღფრთოვანებს პარტიის ნდობა და მზრდელობა, მათ შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციისათვის. პრესის ორგანოების, ხაზგასმით აღნიშნა ახლახანს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის IV ყრილობამ, ახლა მოეთხოვებათ უფრო ღრმად ჩასწვდნენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ურთულეს პროცესებს. საზოგადოებრივი წარმოების მართვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს. პრესის ყურადღებას არ უნდა გამორჩეს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის, სახსრებისა და მატერიალური რესურსების მომგირნეობის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი თვითღირებულების შემცირების შესაძლებლობები. პრესის, ტელევიზიის, რადიოს, საინფორმაციო სააგენტოებისა და წიგნის გამომცემლობების უაღრესად აქტუალური ამოცანაა ფართოდ და გეგმაზომიერად გაავრცელონ მოწინავეთა გამოცდილება, გააშუქონ ახალი სამყაროს ადამიანის ზნეობრივი ხილამაზე, ჩვენი კომუნისტური პერსპექტივები.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, პარტიისა და ხალხის მუშაობის ყველა დარგი შუქდება პრესაში. და ყველგან, ყოველი თემატური მიმართულებით მან ისე უნდა ამოქმედოს, როგორც პარტია გვასწავლის, — პრინციპულად და ადამიანურად, ოპერატიულად და დამჯერებლად, ყოველთვის ეყრდნობოდეს კომუნისტთა, ყველა მშრომელის შეგნებასა და შემოქმედების ინიციატივას. საბჭოთა პრესის დემოკრატიზმი ფორმალური თვისება როდია, იგი ზედმიწევნით კონკრეტული, აქტიური, შეტევითი უნდა იყოს. ეს მას ავალებს მწვავედ, შეურიგებლად, პარტიული პოზიციებიდან გაილაშქროს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც არ შეეფერება ჩვენს კანონებს, ხალხმწიფოს ინტერესებს, კომუნისტურ ზნეობრიობას.

სამშობლოს უმაგალითო მიღწევებისათვის კანონიერი სიამაყითა და ამასთანავე შემოქმედებითი მოუსვენრობით, მომთხოვნელობით, წინსწრაფვით უნდა იყოს გამსჭვალული დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის პუბლიცისტური დაუშვაება. დღესაც აქტუალურია „პრავდის“ მეათე წლისთავზე მის ფურცლებზე გამოთქმული სიტყვები: „დღეს ჩვენ არა მარტო ვიგონებთ წარსულს. ჩვენ ვამზადებთ ძალებს შემდგომი ბრძოლისთვისაც... და ამ ბრძოლაში ჩვენ კვლავ და კვლავ გვჭირდება ჩვენი ნაცადი იარაღი — რევოლუციური პროლეტარული პრესა“.

საბჭოთა პრესის უწმინდესი ვალია იყოს მშობლიური პარტიის პოლიტიკის მგზნებარე პროპაგანდისტი და გამტარებელი, პოლიტიკური, რომელიც ლენინურად ითვალისწინებს და გამოხატავს საზოგადოების, მისი შემადგენელი კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების, ყველა თაობის ღვიძლ ინტერესებს. საბჭოთა ჟურნალისტები პარტიისა და ხალხის დიდ საქმეს კვლავაც მთლიანად მოიახმარენ ძალ-ღონეს, უნარს, გულის მთელ მგზნებარებას.

ПРАВДА

5 მაისის მოწინავე

საუბარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

5 მაისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ მიიღო თბილისში მყოფი სსრ კავშირის კომსომოლის მფრინავი ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ი. სევასტიანოვი. გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ე. ხაბეიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვ. გ. ბაქრაძე. (საინფორმი).

პარტიის ერთგული თანამშრომელი

5 მაისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს მიეძღვნა.

დარბაზში შეიკრიბნენ თბილისელი ჟურნალისტები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

შეკრებილთა ტაშის გრიალში სიტყვა მიეცა პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

(საინფორმი).

ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის სიტყვა საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, უპირველეს ყოვლისა, შევსაბულო დიდად სასატკინო და პასუხსაგები დავალება — გადმოგცეთ თქვენ, საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის დელეგატებს, თქვენი სახით საქართველოს ყველა მასწავლებელს, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები. (ამ ცნობას ყრილობის დელეგატები ოვაციით შეხვდნენ).

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საქართველოს პედაგოგები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მასწავლებლობა, ღირსეულად ასრულებენ პარტიის ერთგული თანაშემწის ფუნქციის ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში. მან გამოთქვა ღრმა რწმენა, რომ თქვენ ძალასა და ენერგიას არ დაიშურებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

მე ნება მივეცი ნემს თავს თქვენი სახელით, საქართველოს პედაგოგების სახელით აღმოვქვა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, რომ საქართველოს მასწავლებლობა მზად არის კიდევ უფრო მჭიდროდ, მონონდოთურად დაიარაზმოს პარტიის გარშემო და ახალ-ახალი წარმატებები მოიპოვოს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის დიდ და კეთილშობილურ საქმეში.

ნება მიბოძეთ რესპუბლიკის მასწავლებელთა ყრილობის ტრიბუნიდან ერთხელ კიდევ მადლობა მოვახსენო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ესოდენ დიდი ყურადღებისა და პედაგოგთა შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის.

ყოველი ჩვენგანი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს, როდესაც ხვდება მასწავლებელს, აღმზრდელებს. ეს ასე იყო ტრადიციულად და ასეა დღესაც. გულახდილად გეტყვით, რომ ასეთი შეხვედრა, გამოსვლა თქვენ წინაშე ყრილობაზე გარკვეულ შინაგან ღელვასთან არის დაკავშირებული.

მინდა გითხრათ, რომ ჩემს გამოსვლას თქვენთან არ ექნება, ასე ვთქვათ, სადირექტივო ხასიათი. იგი უფრო აგებულია უშუალო შთაბეჭდილებებზე, ზოგიერთი ამხანაგური, მეგობრული საუბრიდან, როგორც დიდი პედაგოგი პესტალოცი იტყოდა, რაც გამოსადეგი იქნება მივიღოთ, რაც მიუღებელი იყოს, ნუ მივიღებთ.

ამას წინათ თბილისის ერთ-ერთ სკოლაში გავეცანი, როგორც ამხანაგები ამბობენ, სწავლების ერთ-ერთ ახალ მეთოდს. იქ თქვენი კოლეგები დაწყებითს კლასებში ისე მუშაობენ, რომ ნიშნის არ სვამენ. მე გთხოვთ, როცა ჩემი გამოსვლის შეფასებაზე იქნება ლაპარაკი, ამ მეთოდით იხელმძღვანელოთ და ნიშანი არ დამისვათ.

ყრილობის ყველა დელეგატს კარგად მოეხსენება, რომ სკოლა, ახალი თაობის აღზრდა და სწავლება ყოველთვის პარტიის ყურადღების ცენტრში იყო. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს აქციებთან ერთად, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის დეკრეტებთან ერთად, როგორიც იყო რევოლუციის პირველსავე დღეებში საბჭოთა მთავრობის დეკრეტები — მშვიდობის შესახებ, მიწის შესახებ, წარმოების საშუალებათა ნაციონალიზაციის შესახებ და სხვა, — ამ დეკრეტებთან ერთად მიღებულ იქნა დეკრეტი სახალხო განათლების შესახებ.

ვ. ი. ლენინი იყო ამ ისტორიული აქციის ინიციატორი და სულისჩამდგმელი.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ პირველი სახალხო კომისარი, რომელიც პარტიის ნებით სათავეში ჩაუდგა სახალხო განათლების ორგანიზაციის საქმეს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი პარტიის გამოჩენილი მოღვაწე და მისი ერთ-ერთი უგანათლებულესი წევრი, როგორც მისი თანამედროვეები ამბობდნენ, ცოცხალი ენციკლოპედია, დიდი კულტურტრეგერი და მოაზროვნე ა. ლუნაჩარსკი ბრძანდა. ტრადიცია, რომელსაც ვ. ი. ლენინმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენს პარტიაში, ჩვენს სახელმწიფოში გრძელდებოდა და გრძელდება დღესაც. ეს ტრადიცია ჩვენ გვაკავშირებს — სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლს სათავეში ჩაუყენოთ მაღალი ინტელექტისა და კულტურის ადამიანები. ჩვენი პარტია იყო და არის ე. ი. ლენინის ყველა ანდერძის ერთგული, მათ შორის იმ ანდერძის ერთგული, რომ ახალი თაობის კომუნისტური აღზრდა, მეცნიერების საფუძვლების დაუფლება ყოველთვის პარტიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ამ მიმართებით უკანასკნელი წლების განმავლობაში. ღონისძიებათა მარტო ზოგადი ჩამოთვლაც კი ნათლად დასტურებს, რომ სკოლა პარტიის განსაკუთრებული ყურადღებით და მზრუნველობით არის გარემოსილი. მიღებულ იქნა კანონები სსრ კავშირსა და მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო განათლების საფუძვლების შესახებ, აგრეთვე ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანესი დადგენილებები: საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების, სოფლის სკოლების, პროფტექნიკური განათლების, უმაღლესი სკოლის, საშუალო სპეციალური განათლების შესახებ და სხვ.

ეს არის დადგენილებათა მთელი კომპლექსი, რომელიც ამ პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და მეცნიერულ ფუნდამენტს ქმნის, რომელზეც შენდება მთელი ჩვენი თანამედროვე მუშაობა სახალხო განათლების სრულქმნის დარგში, მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის სფეროში. მე მგონი, ძნელია დავასახელო ჩვენი პარტიის ისტორიიდან სხვა პერიოდი, რომელიც სახალხო განათლების საქმისადმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ასეთი შეუნელებელი და ინტენსიური ყურადღების დამადასტურებელი იქნებოდა.

პარტიის ამოცანებზე სახალხო განათლების დარგში ამომწურავი მითითებებია მოცემული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში.

ყველაფერი ეს თქვენ იცით, საფუძვლიანად გაქვთ შესწავლილი. მე მხოლოდ შეგახსენებთ, რომ ეს მითითებები და დებულებები მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებებში პარტიის XXIII, XXIV, XXV ყრილობებისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცნობილ გამოსვლებში მასწავლებელთა, პროფკავშირებისა და კომკავშირის ყრილობებზე, სტუდენტთა საკავშირო შეკრებაზე.

საეტაპო მნიშვნელობა აქვს პარტიის XXV ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების ამოცანებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ დებულებას იმის შესახებ, რომ თანამედროვე პირობებში უკვე შეუძლებელია მთავარი კურსი ავიღოთ მოსწავლეთა მიერ გარკვეული რაოდენობის ფაქტების შეთვისებისაკენ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოსწავლეებს ჩავუნერგოთ ცოდნის დამოუკიდებლად შეთვისების, სამეცნიერო და პოლიტიკური ინფორმაციის სწორაფ ნაკადში სწორი ორიენტირების უნარი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს, რომლებიც თქვენ ყრილობას ესწრებით, დიდად გვახარებს, რომ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს მითითება, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სხვა უმნიშვნელოვანესი დებულებები აქ გამოსული დელეგატების ყურადღების ცენტრში იდგა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენთან კარგი საფუძველი იქმნება შემდგომი წინსვლისათვის.

აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ დღევანდელი საბჭოთა სკოლა — ეს არის განვითარებული სოციალიზმის ეპოქის სკოლა, მსოფლიო მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებთან სოციალისტური სისტემის უპირატესობათა შერწყმის ეპოქის სკოლა. ეს არის ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის სკოლა, ეს არის პროლეტარიატის დიქტატურის მემკვიდრე საერთო-სახალხო საბჭოთა სახელმწიფოს სკოლა, ეს არის მუშათა კლასის პარტიის, დღეს საერთო-სახალხო პარტიის, ლენინური პარტიის მიერ შექმნილი სკოლა — იქიდან გამომდინარე კაგშირ-მიზეზობრიეი შედეგებით. ამიტომ საჭიროა ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინება, რომლებიც საფუძველს უქმნის სკოლის ახალ ნიადაგზე დაყენებას ამ ახალ თვისებრივ ეტაპზე.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ამ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისაკენ, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროცესების დინჭარებული ტემპის, მაჩვენებლობის თვალსაზრისით. დიდი, მე ვიტყოდი, ეროვნულობრივი წარმატებანი მოპოვებული კომუნისტურ მშენებლობაში. წარმატებით მიმდინარეობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა. ჩვენ ახალი ადამიანის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლის ჩამოყალიბების, მთელი ჩვენი საზოგადოების ზოგადსაგანმანათლებლო, ტექნიკური იდეური დონის ამაღლების ისტორიული პროცესის მოწმენი ვართ. ეთთარდება სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა.

ერთი სიტყვით, წარმატებით წყდება პარტიის ნამივე ძირითადი საპროგრამო მოთხოვნა.

დღეს არ შეიძლება ადამიანმა გულგრილად ილაპარაკოს იმ პროცესებზე, რომლებიც, მართალია, ჩვენთვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, მაგრამ მათ დიდი პოლიტიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის ხვალინდელი დღისთვის. მარტო ის რად ღირს, რომ ძირითადად უკვე განხორციელდა პარტიის საპროგრამო მოთხოვნა საყოველთაო-საშუალო განათლებაზე გადასვლის შესახებ, შეიქმნა და დასრულებული სახე მიიღო ინტელექტუალურ-ტექნიკური განათლების სისტემამ და იგი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ტექნიკურად მომზადებული კადრებით დაკომპლექტების მნიშვნელოვან რგოლად გადაიქცა.

სახალხო განათლების დარგში ბევრი სიახლე დამკვიდრდა. ჩამოყალიბდა აღზრდისა და სწავლების პროგრესული, ჩვენი დროისათვის, განვითარების დღევანდელი ეტაპისთვის დამახასიათებელი მმართველებები. ყრილობის დელეგატები ამის შესახებ აქ კარგად, საინტერესოდ და დამჯერებლად მსჯელობდნენ. მე სავსებით ვეთანხმები მოახსენებელს, კამათში გამოსულ ამხანაგებს და ხაზს ვუსვამ, რომ თქვენი ყრილობა, საქართველოს მასწავლებელთა IV ყრილობა, სრულებითაც არ არის რიგითი მოვლენა. ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საზოგადოებრივი მოვლენაა არა მარტო სახალხო განათლების სფეროში, არამედ მთელი რესპუბლიკის ცხოვრებაში.

ღრმამინაარსიანი, პრინციპული და კომპეტენტური მოხსენება, ძალიან მიმზიდველი და შინაარსიანი კამათი, ჩვენი ძვირფასი სტუმრების მისალმებები, საერთო ატმოსფერო, ლონისძიებები, რომლებიც ყრილობასთან იყო დაკავშირებული, დიდი იდეური, აზრობრივი, ინტელექტუალური შინაარსით ხასიათდება. და ეს ჩვენ ყველს გულწრფელად გვახარებს. ჩვენი აზრით, ეს ჩვენი მასწავლებლობის საერთო ინტელექტუალური ზრდის მანვენებელია.

თქვენი ყრილობა არ არის რიგითი მოვლენა, რიგითი ყრილობა თვით ყრილობათა შორის. იგი უდაოდ განსხვავდება წინა ყრილობებისაგან და განსხვავდება სასარგებლოდ. თუ ძალიან პრეტენზიულად არ ვჭრიდნი ნათქვამი, მე ვიტყოდი, რომ თქვენი ყრილობა ერთგვარად სიეტაპო მოვლენაა რესპუბლიკის სახალხო განათლების ისტორიაში.

შესავალშივე ვიტყვი, რომ ვიზიარებ აქ გამოსულ ამხანაგების მოსაზრებებს — გადაისინჯოს ყრილობების პერიოდულობა და მასწავლებელთა ყრილობები 4-5 წელიწადში ერთხელ მოვიწვიოთ.

ეს ფორმალური საკითხი არ გახლავთ, ჯერ ერთი, სახალხო განათლების დარგში ამ პერიოდის მანძილზე ბევრი მნიშვნელოვანი რამ გროვდება, რაც კოლექტიურ შეფასებას, კოლექტიურ განსაზღვრას მოითხოვს. მეორეც, ყრილობების მოწვევის ასეთი პერიოდულობა სახალხო განათლების მთელი სისტემის შემდგომი დემოკრატიზაციის, დემოკრატიული პრინციპების შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების მომასწავებელი იქნება.

როდესაც ვამბობ, თქვენი ყრილობა ერთგვარად საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა უნდა იყოს, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს სკოლისადმი პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპები. ეს ასე უნდა გვესმოდეს — მთელი არსებით შემოვბრუნდეთ სკოლის პრობლემისაკენ.

აქ ითქვა და მე მხარი უნდა დავუჭიროთ იმას, რომ მეათე ხუთწლედი, შეიძლება მეთერთმეტეც, რესპუბლიკაში სკოლისათვის საერთო-სახალხო ზრუნვის ხუთწლედად გამოცხადდეს. სკოლისათვის ზრუნვა ყველა რაიონისა და ქალაქის სოციალური განვითარების გეგმებში ერთ-ერთ უმთავრეს პუნქტად უნდა შეკვდეს.

ამავე დროს ვიცხადებთ, რომ გადადგმულია მხოლოდ პირველი ნაბიჯები, გასაკეთებელი ბევრია. წინ დიდი მუშაობა ძოგველს.

ყველას გეგიმაყენება და დიდ ძალას გვმატებს ჩვენი მუშაობის, ჩვენი საქმიანობის ის მაღალი შეფასება და დიდი იმედები, რომლებიც გამოთქმულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისს დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის თაობაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რესპუბლიკაში ბოლო წლებში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება და უსამართლობა იქნებოდა, არ გვითქვა, რომ ამ საქმეში, მორალურ-ფსიქოლოგიური, ზნეობრივი კლიმატის გაჯანსაღების საქმეში განსაკუთრებული როლი ჩვენმა სკოლამ, ჩვენმა მასწავლებლობამ, თვითონულმა თქვენგანმა შეასრულა.

ამ მომენტებმა, მე რომ შეგახსენეთ, განაპირობა ის, რომ ჩვენ თქვენთან ერთად ვიარწმენეთ საკუთარი ძალები, მომძლავრდნენ უმწიკლო, პატიოსანი, საქმის მცოდნე პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სხვა დარგების მუშაკები, მომრავლდნენ ისინი, ვისაც არ ეშინია პასუხისმგებლობა აიღოს თავისთავზე, თავი გაუსწოროს სიძნელეებს და იბრძოლოს ამ სიძნელეთა გადალახვისათვის. ამაღლდა ჩვენი კადრები კომპეტენტურობა.

ბუნებრივია, ჩვენ ამ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ეკონომიკას.

ეკონომიკა მომავალშიც დარჩება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უმთავრეს საზრუნავად, უპირველეს საზრუნავად, რადგან სწორედ ეკონომიკა, მისი სიძლიერე გახლავთ ყველა ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელების საფუძველი და საფუძველი. სწორედ ძლიერი, დიდად განვითარებული ეკონომიკა არის ჩვენი სკოლების კეთილდღეობის საფუძველიც.

როგორც ზემოთ ვთქვეთ, დღეს, მასწავლებელთა ყრილობაზე, ვიყენებთ ამოცანას — შემოვბრუნდეთ სკოლისაკენ, აღზრდის პრობლემებისაკენ, ძირეულად ვარდაქმნათ სკოლისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.

რა ბაზაზე უნდა მოხდეს ეს?

აქ ერთ-ერთი დელეგატი ამბობდა, ალარ შეგვიძლია ამდენი შემოწმებები. ჩვენ მიერ წამოყენებული დებულება სკოლისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერების შესახებ ხომ არ ნიშნავს, რომ შემოწმების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება?! რა თქმა უნდა, არა კონტროლი და შემოწმება საჭიროა, მაგრამ გეგმაზომიერი, მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი კონტროლისა და შემოწმების გარეშე არ არსებობს მართვა, ხელმძღვანელობა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა სპეციალურად განიხილა ეს საკითხები და სათანადო დადგენილებაც მიიღო. კონტროლსა და შემოწმებას სათანადო კოორდინაცია სჭირდება. სკოლისადმი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობა განსაკუთრებული სფეროა. სკოლა ფაქიზი მექანიზმია. იგი ვერ იტანს უხეშ, განსაკუთრებით ადმინისტრატიულ ჩარევას. თანაც არც ბაურეველობის პასიური პოზიცია ვარგა. ყოველი პარტიული კომიტეტი სახალხო განათლების ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის სფეროში ხაზს უნდა უსვამდეს განსაკუთრებულ ტაქტს, ღრმა კომპეტენტურობას.

პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ პარტიული ხელმძღვანელობა უფრო ღრმად იყოს ლენინურ სტილზე, პარტიული ცხოვრებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინურ ნორმებსა და პრინციპებზე დაფუძნებული. ჩვენ, პარტიული მუშაკებმ, უნდა შევიარაღდეთ სათანადო ცოდნით, თუ გნებავთ, სათანადო ცოდნით პედაგოგიკის დარგშიც, გავარკვიოთ ადგილებზე შექმნილი მდგომარეობა.

გულახდილად გეტყვით, რომ რამდენიმე დღე ვიმუშავე ამხანაგებთან ერთად სახალხო განათლების სხვადასხვა ობიექტზე — სკოლებში, პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. გაიმართა შეხვედრები პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(ბაბრძელება მე-2 გვ.).

იხვედება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე

(გაგრძელება)

სახალხო განათლების ცალკეულ მუშაკებთან, განათლების სამინისტროს ხელმძღვანელებთან, მინისტრთან. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს არაერთი შეხვედრა ჰქონდათ ადგილებზე ამხანაგებთან.

გუშინ საინტერესო შეხვედრები ჰქონდათ ყირიმლობის დელეგატებს სამინისტროებში, მინისტრებთან, პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებთან, პარტიის რაიონულ კომიტეტებში, რაიკომის მდივნებთან, საწარმოებში, კულტურის ცენტრებში, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. და მე; საკუთარი გულწრფელად და გულახდილად გეტყვით, ცოდვა გამხელილი სჯობს, ამ შეხვედრებიდან ჩვენ ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ბევრი პარტიული მუშაკი, სამწუხაროდ, სკოლას, სკოლის პრობლემებს, სწავლებისა და აღზრდის პრობლემებს სათანადოდ, ღრმად, კვალიფიციურად არ აცნობს. ახლა აქ უძრავლესობა პარტიული მუშაკები რომ იყვნენ, დარბაზი ახმაურდებოდა. თქვენ არ ხმაურობთ იმიტომ, რომ სიზუმე თანხმობის ნიშანია.

პრობლემები კი, როგორც ამ შეხვედრებმა გვიჩვენა, ბევრი დაგროვდა სკოლის ცხოვრებაში. ამაზე თქვენი ყურადღებაც მეტყველებს. ამ პრობლემებს გადაწყვეტა უნდა.

სკოლისაკენ შემობრუნებაზე, ხელმძღვანელობის გარდაჭრაზე რომ ელაპარაკობთ, ჩვენ უპირველეს ყოვლისა მხედველობაში გვყავს ჩვენი კადრები, ადამიანები, რომელთა მეშვეობითაც უნდა შესრულდეს პარტიის მოთხოვნები სკოლაში. თავისი მეტად კარგი და შინაარსიანი მოხსენება ამხანაგმა ო. ჭინქლაძემ დაიწყო ქვეყნიდან, სკოლამდელთა აღზრდის პრობლემებიდან. მე თავს ნებას მივცემ დავიწყო ზევიდან, განათლების სამინისტროდან.

იმ დირექტივების 90 პროცენტი, რომელთა სიუზესაც თქვენ გრძნობთ, განათლების სამინისტროში იღებს სათავეს. მე არ ვიტყვი, ამხანაგებო, რომ ეს ცუდი სამინისტრო იყო. ამ სამინისტროში კარგი ტრადიციები შეიქმნა, კარგი მინისტრებიც იყვნენ, კარგი ხელმძღვანელები.

ჩვენი საერთო აზრია, რომ ახალმა მინისტრმა მუშაობა კარგად დაიწყო, და პირველი სწორი ნაბიჯები გადადგა. ასეა თუ არა ეს? თქვენი ასეთი რეაგირება, ტაში მინისტრსაც ესიამოვნება და მეც უფრო გაბედულად ვილაპარაკებ.

დღეს ჩვენ განვითარების ახალ ეტაპზე ავედით, განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე. ჩვენი ცხოვრება წინ მიდის, ცხოვრება ახალ ამოცანებს აყენებს. დღეს ბარდაქმნისა და გარდატეხის ჩვეულებრივი ტემპი არ კმარა. მხოლოდ სწრაფი, დაჩქარებული ტემპის ასეთია დროის მოთხოვნა. ამიტომ განათლების სამინისტროსაც უფრო დიდ მოთხოვნებს ეუყენებთ. ჩვენ გვგონია, რომ კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს განათლების სამინისტროს, მისი კოლეგიის, მთელი კოლეგიბის როლი, თუ გნებავთ ავტორიტეტიც და, განსაკუთრებით, ორგანიზატორული ფუნქციაც. განათლების სამინისტრო კიდევ უფრო მეტად უნდა გახდეს სახალხო განათლების საქმის ნამდვილი ორგანიზატორი, თუ გნებავთ, მეთოდოლოგიური და მეცნიერული მართვის ცენტრიც. ახლა ყოველთვის ასე არ არის და ბევრი კრიტიკული შენიშვნა, აქ სხვა სამინისტროების მიმართ რომ გამოითქვა, მნიშვნელოვანწილად განათლების სამინისტროსაც შეეხება, სწორედ იმიტომ, რომ ერთგვაროვად დაჭეიფთებულია მისი ორგანიზატორული ფუნქცია, მაკოორდინირებელი ფუნქცია სკოლის მართვის დარგში, მეცნიერული კვლევა-ძიების, შეთოდოლოგიის შემუშავების დარგში და სხვა მიმართულებებითაც.

როგორც გითხარით, ჩვენ ოტტიმისტურად ვართ განწყობილნი — განათლების სამინისტროს სწორ ნაბიჯებს დგამს. დღევანდელი ყრილობა კიდევ ახალი მძლავრი იმპულსი იქნება იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრების ამ უმნიშვნელოვანესმა რგოლმა კიდევ უფრო მეტი ფუნქციები შეიძინოს, უფრო ეფექტიანად უხელმძღვანელოს სახალხო განათლების ორგანოებს. ამასთან ერთად, მიგვანნია, რომ უნდა ამაღლდეს განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახურების, მთავარი სამმართველოების, სამმართველოების, განყოფილებების, ინსპექტორების, შეთოდისტების, კონსულტანტების, ერთი სიტყვით, ყველა რგოლის როლი, ავტორიტეტი, პასუხისმგებლობა, კომპეტენტურობა.

რადგანაც კადრები წყვეტენ ჩვენს ძირითად ამოცანას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობას.

ჯერ, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს განათლების ხელმძღვანელების რგოლები ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში, განყოფილებები, კაბინეტები და ცენტრები, რომლებიც ჩვენ ადგილებზე გვაქვს. არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ჩვენ უნდობლობა გამოგუცხადოთ ამხანაგებს, რომლებიც ახლა ამ მნიშვნელოვან უბნებს მეთაურობენ, მით უფრო, რომ ყველანი აქ, ამ დარბაზში ხრიან. მაგრამ სახალხო განათლების ბევრი განყოფილების მუშაობის სტილი და მეთოდები მოითხოვს გარკვეულ გადახედვას, უფრო მეტად გითანამედროვეობას, მეტი მეცნიერული ელემენტების შეტანას პრაქტიკულ საქმიანობაში, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების ერთ ნაწილს უნდა ვუსაყვედუროთ გარკვეული პასიურობის გამო. ისინი საკითხადო აქტიურობით არ აწუხებენ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, შესაბამის აღმასკომებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, ყოველთვის არ იჩენენ საკასადო ბრძოლის უნარს ამისათვის, რომ განვამტკიცოთ მატერიალური და ტექნიკური ბაზა, დაენერგოთ სწავლებისა და აღზრდის პროგრესული მეთოდები. მე ასეთი მოსაზრებაც მექნებოდა, რომ სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების გამგეები პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურაშიც აგვიყვანა. ეს კარგი და ძალიან სასიამოვნო მოვლენაა იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც კარგად მუშაობენ, ხოლო ამათ შორის, ვინც ცუდად მუშაობს, ალბათ, ეს დიდ აღფრთოვანებას არ გამოიწვევს, რადგანაც ასეთი აქცია კადრებისადმი მომთხოვნელობისა და კონტროლის გაძლიერებას ნიშნავს.

შემდეგი პრობლემა: ჩვენ ახლა, პარტიული ორგანიზაციების მხრივ, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხრივ განსაკუთრებულ შესწავლას, განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს ჩვენი სკოლა, სკოლისგარეშე დაწესებულების, განათლების ყველა ობიექტის დირექტორების პრობლემა. ჩვენი აზრით, სკოლის დირექტორი ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიგურა, ერთ-ერთი მთავარი მოორგანიზებელი რგოლია სახალხო განათლების სისტემაში. ჩვენი საქმის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული დირექტორის ერუდიციაზე, მის კულტურაზე, მრავალმხრივ ცოდნაზე, პოლიტიკურ კრედიტზე, ადამიანებთან მუშაობის უნარზე.

შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენ დღის პედაგოგი სუხომლინსკი დირექტორს „მასწავლებელთა მასწავლებელს“ უწოდებდა. ძლიერი დირექტორი თანამედროვე პირობებში პრაქტიკულად ძლიერ კოლექტივს ნიშნავს და იმასაც გეტყვით, რომ იქ, სადაც ჩვენ ძლიერი დირექტორი არ გვყავს, კოლექტივიც კოჭლობს, კოლექტივს უჭირს. მოდით ბოლოდან გულახდილი ვიყოთ. მე არ მინახავს ჯერ არც ერთი სუსტი ხელმძღვანელი, დაბალი შესაძლებლობების ხელმძღვანელი, რომელიც მასზე უფრო ძლიერ მოადგილეებს ეძებდეს. საგანთა ლოგიკა ასეთია: სუსტი დირექტორი — სუსტი მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში — სუსტი მოადგილე, ალბათ, აღმზრდელობითი მუშაობის დარგშიც და ა. შ. ხანდახან ასეთი ტაკი არც ეგოიზმისაგან არის დაბადებული და თუ ძლიერი მასწავლებელი გამოჩნდა, იგი მისი შეფურროების პოლიტიკისაც განახორციელებს.

აქ გამოვიდა ეკსპერიმენტული სკოლის დირექტორი ამხ. ლ. ჩიქვანაია. იგი ქარგი დირექტორია. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა მე და, ალბათ, თქვენც ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩათ, როცა იგი სიტყვით გამოვიდა. როგორც გითხარით, მე ვიყავი მათთან სკოლაში, 5-6 საათს ვისაუბრეთ მასწავლებლებთან. ძალიან კარგი, საინტერესო საუბარი გვიმართია. შემდეგ დავთვალეთ. ერთ-ერთი სასწავლო კაბინეტი. ეს გეოგრაფიის კაბინეტი გახლდათ.

ამ საგნის მასწავლებელი ნ. ტარიელაშვილი ამ კაბინეტის ხელმძღვანელია. მე არ ვიცი, კიდევ რამდენ კაბინეტს ენახავ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ის შთაბეჭდილება, რომელიც იქ მივიღე, მუდამ გამყვება თან. მე მითხრეს, ნ. ტარიელაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო მასწავლებელია. იგი დირექტორმა შეარჩია, მოიყვანა და გაუმართლდა კიდეც ისედ. როგორც გადმომცეს, ლ. ჩიქვანაიამ ნ. ტარიელაშვილი ქარხნიდან მოიყვანა. იგი სპეციალობით არ მუშაობდა. დიდი ჯიფა დაადგა ლ. ჩიქვანაიას, რათა დარწმუნებინა განათლების ორგანოები, რომ ნ. ტარიელაშვილის სკოლაში გადმოყვანა საჭიროა.

აქედან მე ასეთი დასკვნა გამომაქვს: ძლიერი დირექტორი, ეკვიანი დირექტორი, მაღალერუდირებული და კარგი ორგანიზატორი ძლიერ მასწავლებელს ეძებს და პოულობს კიდეც. ასეთი დირექტორი ყველფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლაში კადრების ზრდის სიტუაცია, კარგი ატმოსფერო შეიქმნას, მოძიებოს მასწავლებელი — ლტალონი, შეიქმნას ასეთი ლტალონი, რომლის დონემდე შემდგომ სხვებიც მაღლდებიან.

ჩვენ მოვუწოდებთ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებს, სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, განათლების სამინისტროს, ყოველგვარი კამპანიურობის გარეშე, არა „ერთი ხელის მოსმის“ პოლიტიკით, დინჯად, ისე, როგორც ეს სახალხო განათლების სისტემას სჭირდება და ეკადრება, კარგად გაგერკვეთ იმაში, გვყავს თუ არა ყველგან სათანადო დონის დირექტორი? სადაც გვყავს, წაგახალისოთ, მხარი დაუჭიროთ, სადაც არა გვყავს — ეიფეკროთ მომავალზე. მეტყვიან, კადრები არა გვყავსო. ეს არ არის სწორი. მე ორმად ვარ დარწმუნებული და თქვენც დამეთანხმებით, რომ საქართველოში ასობით და ათასობით ნიჭიერი, მაღალერუდირებული ახალგაზრდა მასწავლებელი, სამეცნიერო სკოლის დირექტორთა და მოადგილეთა ღირსეული შეესება მოვიდოთ. საჭიროა გეგმაზომიერი მუშაობა. განათლების სამინისტროში, პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში სერიოზულ დონეზე უნდა დავაყენოთ კადრების რეზერვთან, პერსპექტიულ ამხანაგებთან მუშაობის საქმე. კარგ მასწავლებლებს ხშირად არა აქვთ ორგანიზატორული მუშაობის ჩვევები. ამიტომ ახლავე უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ დაეხმაროთ მათ შეიძინონ ეს თვისებები.

სკოლის მართვის საშუალო რგოლი, მე ვიტყოდი, სკოლის ერთ-ერთი ძირითადი რგოლი — დირექტორთა რგოლი ჩვენ არსებითად უნდა განვამტკიცოთ სრულფასოვანი კადრებით.

სერიოზულ მიდგომას მოითხოვს აგრეთვე ამ ამხანაგებთან მუშაობა, რომლებიც უშუალოდ სასწავლო პროცესს ხელმძღვანელობენ. ამ დარგს დირექტორთა მოადგილეები ანაგებენ. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ იდეურ-აღმზრდელობითს დარგში მიმუშავე ამხანაგები. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის მუშაკები ყველგან ისე არ შეირჩა, როგორც საჭირო იყო. ბევრგან სამუშაოზე ნომინალური მოწყობის პრინციპმა იმძლავრა და ამ უბანზე ბევრი ისეთი ამხანაგი გაიგზავნა, რომელთაც სკოლასთან არაფერი ჰქონდათ საერთო, გარდა დიპლომისა. ამიტომ ამ საქმესაც სერიოზულად უნდა მიგხედოთ.

ერთი სიტყვით, ლაპარაკია იმაზე, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ნათლად ჩამოაყალიბონ ფაქიზანთი პოზიციები სკოლის ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის დარგში, რათა მიეღწიოთ ისეთ მდგომარეობის, როცა ყველგან, ყველა რგოლში, როგორც აქ მინისტრმა თქვა, ყველა თავის საქმეს აკეთებდეს; მე დავუმატებდი: მაღალკომპეტენტურად და კარგად აკეთებდეს.

სწორად ითქვა ყრილობაზე, რომ ჩვენი პარტიის მთავარი საზრუნავი იყო, არის და იქნება ცენტრალური ფიგურა საპალნო განათლების დარგში — მასწავლებელი. თქვენ კარგად გახსოვთ, თუ რა დიდ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი მასწავლებელს. თვით ჩვენი დროის უდიდეს პედაგოგს, უდიდეს თეორეტიკოსს, ანალი ცხოვრების უდიდეს ხუროთმოძღვარს შესანიშნავად ესმოდა მასწავლებლის როლი. ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სახალხო მასწავლებელი ჩვენ ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზეც ის არასდროს არ მდგარა, არ დგას და არ შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ასეთი იყო ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული გენერალური ხაზი მასწავლებლის მიმართ.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, მეგობრებო, რომ საქმე ეხება ჩვენს მომავალს, ჩვენს იმედს. სკოლაში ბრდება მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ღირსეული ცვლა. სკოლებში სწავლობენ მომავალი ინჟინერები და ექიმნები, მომავალი ტექმირიზეგები და კოლოფოლეგები, მომავალი გაგარინები და ტერეშკოვები, მომავალი მუსხელიშვილები და ბერტაშვილები. ამ რაკურსით, ამ პოზიციიდან უნდა შეეხედოთ საქმეს. ამიტომ საჭიროა ყველა პირობა შეექმნათ ამისათვის, რომ მოზარდმა თაობამ მაქსიმალურად გამოიყენოს სკოლის წლები, მეტაციე დაეუფლოს მეცნიერების საფუძვლებს, აღიზარდოს თანამედროვე ზნეობის პრინციპებზე. ამ ამოცანების გადაწყვეტა მხოლოდ ჭეშმარიტ მასწავლებელს შეუძლია.

ფ. ენგელსის ერთი ფორმულისა არ იყოს, ჩვენს ეპოქას სჭირდება და ჩვენმა ეპოქამ უნდა შვას თანამედროვე კულტურის პედაგოგთა მთელი არმია, თანამედროვე უშინსკები და გოგებაშვილები, თანამედროვე მაკარენკოები და სუხომლინსკები.

მეათე ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედია. პარტია ხარისხს მოითხოვს არა მარტო სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების დარგში, არამედ ყველა სფეროში, მათ შორის კულტურისა და სახალხო განათლების დარგშიც. ჩვენ გვჭირდება ხარისხი არა მარტო მატერიალურ ფასეულობათა, არამედ სულიერ ღირებულებათა შექმნის დარგშიც, მათ შორის სახალხო განათლების დარგში. სწავლებისა და აღზრდის ხარისხით განიზომება მასწავლებელთა პედაგოგიური ხელოვნება, მათი ინტელექტუალური და კულტურული დონე. ყოველმა მასწავლებელმა ყოველი აღზრდელობითი და სასწავლო აქტი ისე უნდა განახორციელოს, რომ ის, ხატოვნად რომ ვთქვათ, სახელმწიფო ხარისხის ნიშანს იმსახურებდეს. ასეთი მაღალი დონე უნდა ახასიათებდეს ყოველ გაკვეთილს, ყოველ პედაგოგიურ აქტს ჩვენს სკოლაში, ყოველ სასწავლო პროგრამას, ყოველ სახელმძღვანელოს, ყოველ თეორიულობას. ასეთია ამოცანა.

ლუნაჩარსკი, ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების პირველი კომისარი, წერდა: თუ ოქრომჭედელი ოქროს გააფუჭებს, ოქრო შეიძლება ხელახლა გადადნოთ, თუ ფუჭდება პატიოსანი თვლები, ისინი შეიძლება ჩამოვიწროთ, როგორც წუნი. თვით ყველაზე დიდი მარგალიტიც კი ვერ შეფასდება ჩვენს თვალში უფრო მეტად, ვიდრე ადამიანი. ადამიანის „გაფუჭება“ უდიდესი დანაშაულია, როცა ამ მასალაზე ემუშაობთ, უნდა ვიცოდეთ ზუსტად, წინასწარგანსაზღვრულად, თუ ვინ უნდა გამოვიყვანოთ მისგან.

ეს სიტყვები ყოველ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს.

მასწავლებელი სათანადოდ გვაგონებს მოქანდაკეს, რომელიც გარკვეული მასალისაგან ცოცხალ ქმნილებას აქანდაკებს.

ყრილობაზე ძალიან საინტერესო საუბარი გაიმართა სწავლა-აღზრდის ცალკეულ ფორმებზე, პროგრესულ მიმართულებებზე. ძალიან კარგია, რომ ჩვენ ვეძებთ მათ და ხშირად ვპოულობთ კიდეც. მაგრამ დამეთანხმეთ, რა მეთოდითაც უნდა ვიყოთ შეიარაღებული, სწავლებისა და აღზრდის რა სრულყოფილი სისტემაც უნდა გვქონდეს, ყველა სისტემა ძლიერ მასწავლებელს გულისხმობს, არ არსებობს სასწაულმოქმედი სისტემა. არც არსებობდა და არც იარსებებს. არსებობს პროგრესული სისტემით შეიარაღებული ხასწაულმოქმედი მასწავლებელი. თქვენ ბევრი, უამრავი ფაქტი იცით ისტორიიდან, როცა უაღრესად რეაქციული სისტემის პირობებშიც კი პროგრესული მასწავლებლობა ახერხებდა გენიოსებისა და სრულქმნილი პიროვნებების აღზრდას.

რა გვაღელვებს ჩვენ ყველაზე მეტად დღეს მასწავლებლობასთან ურთიერთობაში? რა ცოდნით, რა ცოდნის მარაგით არის შეიარაღებული ჩვენი მასწავლებლობა, როგორია მისი მსოფლმხედველობრივი კრედო, რას კითხულობს, როგორ ვითარდება, რა ინფორმაცია აქვს? თქვენ, ალბათ, ჩემზე კარგად იცით, მაგრამ შეგახსენებთ, ვ. სუხომლინსკის ძალიან კარგ ნათქვამს — მასწავლებელმა ათჯერ-ოცჯერ მეტი უნდა იცოდეს, ვიდრე გაკვეთილის გადასაცემად არის საჭირო. უნდა შეეძლოს უამრავი ფაქტიდან ყველაზე მნიშვნელოვანის და არსებითის არჩევა. მე თუ ორჯერ მეტი ვიცი, ვიდრე ვასწავლი, ჩემი აზრი გაკვეთილზე მოსწავლისათვის შეუმჩნეველად იბდება. მასწავლებლის შემოქმედებითი ტკივილები, მისი „შემოქმედებითი ტანჯვა“ არ აწუხებს მოსწავლეებს, ისინი მასალას სრულიად დაუძაბუნად იღებენ, მე კი ყურადღების ცენტრში ჩემი თხრობა, ჩემი მონაყოლი კი არა მაქვს, არამედ მათი აზროვნება. ეს მათი თვალებით განსაზღვრავ, ფასაგებია თუ არა მათთვის გაკვეთილი.

წარმატების საფუძველია მასწავლებლის ცოდნის მარაგი — შეზამბული, შერწყმული სწავლების სწორ სისტემასთან. ჩვენს მასწავლებლობას უდიდესი ბედნიერება აქვს ეუფლებოდეს და ითვალიწინებდეს შესანიშნავი, უმდიდრესი მემკვიდრეობით, რომელიც პედაგოგიკის დარგში, სწავლებისა და აღზრდის დარგში მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა დაგვტოვეს.

მარქსიზმ-ლენინიზმია უმაღლესი მოძღვრება ადამიანზე, საზოგადოებაზე, აღზრდაზე. ამასთან ერთად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა ეუფლებოდნენ მსოფლიო პედაგოგიკის კლასიკურ მემკვიდრეობას. მათთვის უცხო არ უნდა იყოს, — კრიტიკულად, ანალიზურად, შემოქმედებითად აღიქვან დემოკრიტე და პლატონი, არისტოტელე და ჟამანელი, თომას მორი და ფრანსუა რაბლე, მაშელ მონტენი და კოშენსკი, ლოკი და ჟანჟაკ რუსო, დიდრო და ოუენი, ბელინსკი და რადიშჩევი, პისარევი და გერცენი, პიროგოვი და უშინსკი, ნერნიშევსკი, დობროლუბოვი, ტოლსტოი და მრავალი სხვა, ვისაც თავისი წვლილი შეუტანია მსოფლიო პედაგოგიური აზრის განვითარებაში.

ჩვენ გვაქვს შესანიშნავი მემკვიდრეობა, რომლითაც ჩვენი მასწავლებლობა უნდა შეიარაღდეს. ეს არის კრუპსკაია, კალინინის, ლუნაჩარსკის, მაკარენკოს, სუხომლინსკის და სხვების ბრწყინვალე პედაგოგიური შეხედულებანი.

საქართველოს მასწავლებლობას მოეპოვება ძვირფასი საგანძური, ისეთი დიდი მემკვიდრეობა, როგორიც არის შოთა რუსთაველის, სოლომონ დოდაშვილის, სულხან საბა-ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის, საქართველოში მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის უძვირფასესი შეხედულებანი სწავლებისა და აღზრდის საკითხებზე.

ასევე მდიდარია ყოველი მომძე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა პედაგოგიური ტრადიციებით, პედაგოგიური მემკვიდრეობით.

რას ნიშნავს, იყო ყველა ამ დიდი იდეის მემკვიდრე? ეს იმას ნიშნავს, რომ იცნობდე ამ მოძღვრებას, სრულფასოვნად იყენებდე მას ყოველდღიურ საქმიანობაში და ცდილობდე იგი რეაქციული პედაგოგიური სისტემების შემოტევისაგან, სრულყო და განვითარო პედაგოგიკის თეორია და პრაქტიკა, შენი სიცოცხლე, ნიჭი და ენერგია მოახმარო ამ დიდ საქმეს. ამ სულისკვეთებით უნდა ვზრდიდეთ ჩვენ ყოველ მასწავლებელს, ყოველ პედაგოგს.

მასწავლებელთა შერჩევის, აღზრდის მთელი სისტემა უნდა გულისხმობდეს ამ საგანძურთა ათვისებას, და როდესაც ასეთ მაღალ მატერიებზე ვლაპარაკობთ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის, თუ რატომ ეიყენებთ მათ წინაშე ასეთ ამოცანებს. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ შევიარაღდეთ ამ მდიდარი მემკვიდრეობით. წინაადმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ აღმოვჩნდებით ეპოქის მოთხოვნათა დონეზე, ვინაიდან ეპოქა ყოველდღიურად ზრდის ამ მოთხოვნებს. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ ამ დებულებას, რომ მასწავლებლად უნდა დაიბადო. მაგრამ ეს გადატანითი მნიშვნელობით არის ნათქვამი: მასწავლებლად არა მარტო იბადებიან, არამედ უწინარეს ყოვლისა იზრდებიან.

ამხანაგო ლ. ი. ბრეჟნევი ამბობს, რომ სკოლის მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე საპატიო, ყველაზე პატივსაცემი პროფესიაა ხალხში. მასწავლებელი განაზორციელებს დროთა და თაობათა კავშირს. ის არის ყველა თაობათა შეგირთებელი რგოლი, ის გადასცემს ესტაფეტას აწმყოდან მომავალს და ეს ყოველივე აქცევს მის შრომას ჭეშმარიტად შემოქმედებით და ეშმარიტად საინტერესო შრომად.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, რაიონულმა კომიტეტებმა ახლებურად, ზემოთ დასმული მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოაწყონ მოწინავე მასწავლებლთა გამოცდილების პროპაგანდა. ჩვენმა ფსიქოლოგებმა, მეცნიერებმა დღის წესრიგში უნდა დააყენონ მასწავლებლის პიროვნების შესწავლა, მასწავლებლის სოციალური პორტრეტის დახატვა, მისი ეტალონის შექმნა.

ასეთები ჩვენ გვყავდა და ახლაც მრავლადაც გვყავს. ჩვენ, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლების სამინისტრომ, შესაბამისმა სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა საქართველოში დადებითი პედაგოგიური გამოცდილების ჩამოყალიბებული სისტემა უნდა შეექმნათ, არ უნდა იყოს არც ერთი ქალაქი, რაიონი, სადაც არ გვექნება დადებითი გამოცდილების ბაზა სწავლებისა თუ აღზრდის სფეროში.

მე მგონი, ჩვენ უფრო ღრმად და შორს უნდა გავიხედოთ. უნიშვიერესი მოზარდი თაობიდან მასწავლებელთა მომავალი კადრების შერჩევას თვით მასწავლებლები უნდა აწყობდნენ საშუალო სკოლაში. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის ასე არ არის. პაპროფესიული სწავლება, რომლის შესახებაც აქ საინტერესოდ ილაპარაკეს, ვფიქრობთ, ამის კარგ საშუალებას იძლევა. და სადაც კი არის ამის პირობები, ალბათ, ამას პრინციპულად მხარი უნდა დავუჭიროთ. მასწავლებლობა უნდა ზრდიდეს თავის შემცვლელებს. როგორც გითხარით, ყოველთვის ასე არ ხდება.

პარტიის XXV ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო მასწავლებელთა კადრების მომზადების საკითხს. ჩვენ კარგად უნდა გავთვალისწინოთ ის თავისებურება, რომელიც ზოგიერთ რაიონში შეიქმნა კვალიფიციური კადრების ნაკლებობის მხრივ, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორიც არის საზოგადოებათმცოდნეობა, მათემატიკა, ფიზიკა, უცხო ენები და სხვ.

უმაღლეს სასწავლებლებს სახელმწიფო აარსებს, სახელმწიფო განსაზღვრავს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესებს, კონტიგენტს. ჩვენვე უნდა მოვახდინოთ ამბიტიციებისა მიღების რეგულირება ისეთნაირად, რომ მიღების სისტემა ხელს გვიწყობდეს პრობლემების გადაჭრაში. ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ.

მე მგონი, კარგი საკითხები წამოჭრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ამხ. ნ. ვასაძემ. ამ ინსტიტუტმა, სხვა უმაღლესმა პედაგოგიურმა სასწავლებლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ სტუდენტების სწავლებასა და აღზრდას საუკეთესო პედაგოგთა გამოცდილების ბაზაზე, საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივების გამოცდილების საფუძველზე.

ამ რამდენიმე დღის წინათ გამოითქვა აზრი, რომ მიეცეოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დადგენილება მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხებთან დაკავშირებით. დამერწმუნეთ, თუმცა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა დიდი მუშაობა გასწია, მისი დღევანდელი დონე საკმაოდ პრიმიტიულად გვეჩვენება.

ალბათ, საჭირო იქნება მიეცეოთ დადგენილება, რომელიც შექმნის ისეთ პირობებს, რომ მასწავლებელთა მომზადება და გადამზადება ნორციელდებოდეს მარქსისტულ-ლენინური, თანამედროვე პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების მოთხოვნათა დონეზე, სათანადო, მაღალგანვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე. მასწავლებელი არ უნდა გაურბოდეს მომზადებისა და გადამზადების პროცედურას. მე მეუბნებიან, რომ ახლა ამას ძლიერი მასწავლებლებიც გაურბიან და სუსტებიც. ეტყობა, ვერ გაძლებენ მათ მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და პედაგოგიური პრაქტიკის, გამოცდილების ამ სინთეზს. რასაც უნდა ვაძლევდეთ, რაც დაკმაყოფილებდა მათს მაღალ მოთხოვნილებებს. რომელთაც ისინი თავის მხრივ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს უყენებენ.

როგორც ჩანს, ყოველივე ეს კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სერიოზულ რეფორმას მოითხოვს. ამასთან ერთად, საჭიროა როგორაც შეკერთ ოტმიალური ... — ნიჭიერი, უნარიანი, სათანადო მონაცემების მქონე მოსწავლე, ნიჭიერი, უნარიანი სტუდენტი და კარგი მასწავლებელი. ეს ცო�d სრულყოფილი მასწავლებლის აღსაზრდელად გვჭირდება. განათლების სამინისტროს უნდა დაამუშაოს და შემოიტანოს სათანადო წინადადებები ამისათვის. თუ საჭირო იქნება, შევიმუშაოთ სერიოზული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების პროგრამა. პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა ამ ცვლილებებზე უფალოდ წყვა.

მე ვფიქრობ, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელებმა, საბჭოთა ორგანოებმა უფრო ღრმად უნდა ჩაიხედონ მასწავლებელთა ატესტაციის საქმეში.

კარგი მუშაობა განხორციელდა. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება. მაგრამ ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ყველა ქალაქსა და რაიონში, ყველა რგოლში ამ საქმეს ისეთი გაქანება არ მიეცა, როგორსაც ეს პრობლემა იმსახურებს. მე მასწავლებელთა დათხოვნის მასშტაბებს არ ვგულისხმობ, გაქანებაზე როცა ვლაპარაკობ. მხედველობაში მაქვს ამ საქმიანობის სიღრმე, პრინციპულობა და კვალიფიციურობა.

აქ უკვე თქვა, რომ ჩვენ დავიღალეთ ათეული წლების განმავლობაში იმაზე ლაპარაკით, რომ სკოლა უძლურია განთავისუფლდეს უვარგისი მასწავლებლებისაგან. ახლა ეს ფარული გვაქვს — შეგვიძლია სუსტებისაგან გავთავისუფლდეთ, ამავე დროს მოვვეპოვება ძალიან კარგი ფარული იმისათვის, რომ დაეხმაროთ შედარებით სუსტ მასწავლებლებს, ვიმუშაოთ მათთან ინტენსიურად, გეგმიან პრინციპებზე. არავისათვის უხერხული არ უნდა იყოს საკითხის ასეთნაირად დასმა, მათ შორის თვით სუსტი მასწავლებლებისთვისაც.

ჩვენი მთავარი მიზანი, გენერალური მიმართულება იყო და არის ის, რომ ვიმუშაოთ მასწავლებლებთან და ჩამორჩენილნი, შედარებით სუსტნი ავამაღლოთ მოწინავეთა დონემდე. ამ მთავარ პრობლემას უნდა წყვეტდეს ყველა პედაგოგიური კოლექტივი. ამ პრობლემას უნდა წყვეტდეს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მთელი სისტემა.

ჩვენ უნდა გარდაგვქმნათ მუშაობა იმ მხრივ, რომ მასწავლებელმა ბიბლიოთეკა ყველა სიკეთე, რასაც პარტიისა და მთავრობის დადგენილებები თავგასწენებს. ასეთი კი ბევრია.

თქვენ მოგეხსენებათ, პარტიამ, მთავრობამ საკმაოდ კარგი პირობები შექმნეს, განსაკუთრებით სოფლად, იმისათვის, რომ მასწავლებელი იმის მინიმუმს მაინც იღებდეს, რაც მისთვის საჭირო. მასწავლებელთა კადრებისათვის ზრუნვა მოსწავლისათვის ზრუნვაა. ეს უზრუნველყოფილ იქნება ეს მათემატიკა, ისტორია, ენათმეცნიერება, ბუნებისმეტყველება, ფიზიკა თუ სხვა რომელიმე საგანი.

თანამედროვე პედაგოგი უნდა იცნობდეს სკოლამდელთა პედაგოგიკას, საოჯახო პედაგოგიკას. თვითეული პედაგოგი კარგად უნდა ერკვეოდეს იმ მეცნიერებებში, რომლებიც ემიჯნება პედაგოგიკას, სწავლობს ადამიანს, ადამიანთა საზოგადოებას. მხედველობაში გვაქვს ისეთი მეცნიერებები, რო

ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლისადმი სკკპ XXV ყრილობის მოთხოვნათა დონეზე

(დასასრული).

ლგომასაც ნიშნავს. ვიმეორებ, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ნამდვილი ინტერნაციონალისტები ამავე დროს საკუთარი ხალხის ინტერესების საადარაჯოზე დგანან, ხოლო ნაციონალიზმი ამ ინტერესების ღალატი გახლავთ. ნაციონალიზმის მოტივი დღეს მხოლოდ პირადი ანგარება, კარიერიზმი და განდიდების მანიაა. სხვა მოტივი არ არსებობს ღღეს ჩვენს პირობებში. ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჩვენი მასწავლებლობის ერთ-ერთ უკეთილშობილეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია ახალგაზრდობა აღზარდოთ ინტერნაციონალიზმისა და ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

აღზრდის პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმას, თუ რა ფაქტიურ მასალას ვაწვდით მოსწავლეებს, არამედ იმასაც, თუ რა მომენტებზე არის აქცენტირებული ყურადღება, რა მოგლენებზე ვაკეთებთ აქცენტს.

განსაკუთრებით სწორი აქცენტები უნდა დავსვათ იქ და იმ მოვლენათა სწავლებისას, რომლებიც შეეხება საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობას, ჩვენს ძმობასა და მეგობრობას დიდ რუს ხალხთან, ჩვენს ძმობასა და მეგობრობას ყველა სხვა მომეკ ხალხებთან.

ეს ურთიერთობა საუკუნეთა განმავლობაში ორთაულესი კლასობრივი, სოციალური თუ პოლიტიკური ხარტეზილების ფონზე აყალიბდებოდა. ჩვენ ძალიან გულისხმიერად, ჭკვიანურად, პედაგოგიურად უნდა გვრდებოდეთ ამ ურთიერთობის თავისებურებებს, ნიუანსებს და აქცენტს ვაკეთებდეთ იმ მოვლენებზე, რომლებიც გვეხმარება ხალხთა მეგობრობის, ძმობის, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ასეთია ჩვენი ამოცანები ამ დარგში.

კ. მარქსი ამბობდა: ყოველი ახალი ენის შესწავლა ახალი ეარაღი არისო მომავლისთვის ბრძოლაში. მშვენიერად არის ნათქვამი. განა უფრო ვრცელი და მასშტაბური არ არის იმ ქართველის სამყაროო, რომელმაც რუსული და უცხო ენები იცის? ძაკობ გოგებაშვილი ამბობდა: ვინც მშობლიური ენის გარდა სხვა ენა არ იცის, მან ხეიროანად მშობლიური ენაც არ იცისო.

საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მთელ პედაგოგიურ საქმიანობაში მუდამ მხედველობაში გვქონდეს ეს მრავალეროვნულობა, ვითვალისწინებდეთ მას ყოველდღიურ საქმიანობაში.

ჩვენთან, საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ყველა ენა, ყველა ენაზე ნათქვამი ფრაზა უნდა იწვევდეს სიხარულს. ჩვენ უნდა მივესალმებოდეთ საქართველოში მშობლიურთან ერთად რუსული ენის შესწავლის სრულყოფის ტენდენციებს, ჩვენ უნდა მივესალმებოდეთ იმას, რომ ვითარდება და კვლავაც განვითარდება აფხაზური ენა და ლიტერატურა, ოსური ენა და ლიტერატურა, რომ ჩვენთან, საქართველოში, ისევე თავისუფლად ისწავლიან თავიანთ მშობლიურ ენაზე რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ეროვნების ბავშვები, როგორც თავიანთ რესპუბლიკებში სწავლობენ. ეს დიდი პოლიტიკური, საზოგადოებრივი მონაპოვარია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს მონაპოვარი კვლავ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს.

თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ლენინ ილიას ძე ბრეჟნევმა წერილი გაუგზავნა საშუალო სკოლაში ენების ცხოვრებისა და მოღვაწეობის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტების შესწავლის საკითხებზე მესამე სრულიად საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეებს. ჩვენი პარტიული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა, რომ სკოლებს მისცეს სწორი ორიენტირება ამ საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის იდეური არსებალის უკეთ გამოყენების საქმეში.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამ კონფერენციისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მასწავლებელს მოსწავლე ახალგაზრდობის გულამდე და გონებამდე მიაქვს ლენინური იდეები, ინტერნაციონალური იდეების საგანძური, იგი აღზვავს, მათ მიერ ცოდნის ღრმად და მტკიცედ შეთვისებას, გამოუმუშავებს მოსწავლეებს მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური თეორიის დამოუკიდებლად ათვისების ჩვევას, ამზადებს მათ უცხო იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ მტკიცე მებრძოლებად.

ამ დონეზე უნდა იდგეს ყველა ჩვენი მასწავლებელი. ასეთია ამოცანა.

პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, სახალხო განათლების რაიონულმა და საქალაქო განყოფილებებმა, კომკავშირის რაიკომებმა და ქალაქკომებმა უკეთ უნდა გამოიყენონ ლენინის დაბადების მე-100 წლისთავის, საბჭოთა სახელმწიფოს 50-ე წლისთავის, საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა საქართველოს 50-ე წლისთავის, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30-ე წლისთავის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის მზადების პერიოდში მასების, მათ შორის მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის დარგში დაგროვილი უდიდესი გამოცდილება და ყველაფერი იღონონ იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩაუნერგონ ღრმა რწმენა კომუნისტური იდეალებისადმი, ღრმა რწმენა სოციალიზმისა და კომუნიზმისადმი, ღრმა რწმენა ლენინის იდეებისადმი.

ყოველი სკოლა, ყოველი გაკვეთილი, ყოველი კლასი, ყოველი მოსწავლე, ყოველი მასწავლებელი, ყოველი სახელმძღვანელო, ყოველი სასწავლო თვალსაზრისობა, ყოველი სასკოლო კაბინეტი უნდა ემსახურებოდეს ერთ დიდ საქმეს — მოსწავლეთა პოლიტიკური მრწამსის გამოუმუშავების დიდ საქმეს. ყოველ მოსწავლეში ჩვენ უნდა ვნერგავდეთ კომუნისტური იდეურობის, ცოდნის, რწმენისა და პრაქტიკული მოქმედების სინთეზს, ამ სინთეზის განსახიერებას,

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა იზრდებოდეს კომუნისტური ჰუმანიზმის იდეების სულისკვეთებით, სიკეთისადმი სიყვარულისა და ბოროტებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით. კომუნისტური ჰუმანიზმი კაცთმოყვარეობის უმაღლესი განსახიერებაა. ჩვენ ვამკვიდრებთ ჰუმანიზმის კლასობრივ, პარტიულ, მეცნიერულ გაგებას და ვემიჯნებით ჰუმანიზმის ყალბ თეორიებს. ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას უნდა ჩავუნერგოთ ჰუმანიზმის მარქსისტულ-ლენინური გაგება.

ორიოდე სიტყვა ჩვენს ამოცანებზე ძალი თაობის შრომითი აღზრდის დარგში.

ჩვენ შრომითი აღზრდა, შრომითი ჩვევების ჩანერგვა ფართოდ გვესმის. ეს არ არის მარტო ის, რომ ბავშვებს ფიზიკური შრომის ჩვევები ჩავუნერგოთ. რა თქმა უნდა, ეს უმნიშვნელოვანესი ელემენტია, მაგრამ ის არ ამოწურავს ამ ცნების გაგებას, თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ნ. ა. კრუპსკაია ამბობდა: თუ დაგუქვირდებთ როგორ მუშაობდნენ დარვინი, ედისონი, მარქსი, ენგელსი, ლენინი, ჩვენ დავინახავთ, რომ მათ ჰქონდათ მუშაობის უზარმაზარი გამოცდილება — და, მიაქციეთ ყურადღება, — ჰქონდათ გამომუშავებული ჩვევა შეესრულებინათ უზარმაზარი საქმე, გაეჩნდათ დაკვირვებისა და განზოგადების ოდიდესი უნარი, დიდი სიბეჯითე.

მე მინდა განსაკუთრებით მივაქცეთ ყურადღება ამ მომენტს, შავი სამუშაოს შესრულების მომენტს. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩვენს ახალგაზრდობას ამ ვენერგავდით პატივისცემის დამოკიდებულებას ამ ხალხის მიმართ, ვინც ე. წ. შავ სამუშაოს ასრულებს. ვერც ერთი დიდი მეცნიერება ვერაფერს ვერ აუღებს შავ სამუშაოს. არც ერთი დიდი მეცნიერი არ გაზრდილა ისე და არ გამზადარა დიდი მეცნიერი, რომ შავი სამუშაო არ შეესრულებინოს.

თქვენ იცით ლენინის, მარქსის და სხვა კლასიკოსების ცხონებული მითითებები ამ დარგში. ცალკეული ამხანაგები ბევრს ამშვიდებენ იმით, რომ დღეს ახალგაზრდობას ცოდნის მეტი მარაგი, მეტი ინფორმაცია აქვს, ვიდრე წინა თაობებს. ეს, რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ, ჩემის აზრით, ანგარიშგასაწევია, თუ რა მოტივი უდევს საფუძვლად ინფორმაციის მიღების პროცესს, როგორი შრომის ფასად ივსება ცოდნის მარაგი. შრომითი ჩვევების ფორმირების და, საერთოდ, მოქალაქის ფორმირების თვალსაზრისით, არ შეიძლება ერთნაირად შეფასდეს ინფორმაცია, რომელსაც წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით იღებენ, და ცოდნის მარაგი, რომელსაც აგრთვებს ტელევიზორთან მხარეზეზე ჩამოწოლილი ბავშვი, „დროის მოკვლის“ ყინს რომ იკმაყოფილებს.

ჩვენ ბავშვებს უნდა ჩამოვუყალიბოთ შრომისადმი სწორი დამოკიდებულება.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ჯერ კიდევ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ აღნიშნავდნენ აღზრდისა და მატერიალური წარმოების შეერთების აუცილებლობას. ეს ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია ჩვენი პედაგოგიკისათვის.

პარტიის XXV ყრილობამ ხაზი გაუსვა ამ გარემოებას, რომ თანამედროვე ეტაპზე ერთმანეთს ორგანულად ერწყმის პოლიტიკური და შრომითი აღზრდა.

ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს პარტიის XXV ყრილობის მითითება, რომ თუ გვინდა კომუნისტური აღზრდა თანამედროვე მოთხოვნებს შეეესაბამებოდეს, უნდა სრულყოფილ სახალხო განათლების, პროფესიულ-ტექნიკური მომზადების სისტემა, რადგანაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, განვითარებული სოციალიზმის პირობებში შრომის ხასიათი და შინაარსი იცვლება, მაშასადამე, ადამიანის მომზადებაც ამ შრომისათვის უნდა იცვლებოდეს შესაბამისად და ოპტიმალურად. დღეს მუშა ხშირად უფრო რთულ სამუშაოს ასრულებს, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინათ ტექნიკოსი ან ინჟინერი. ასე წავიდა წინ მეცნიერება და ტექნიკა, ასე გაიზარდა მუშათა კლასის პროფესიული ოსტატობა.

ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო, განსაკუთრებით პროფტექნიკურ სკოლაში აღზრდა და განათლება დაუკავშირდეს თანამედროვე წარმოების საფუძვლებს, თანამედროვე შრომის ორგანიზაციას, ტექნოლოგიურ პროცესებს და ა. შ.

რესპუბლიკაში ამჟერად დიდი გარდაქმნები მიმდინარეობს. თქვენ-ამ დიდი გარდაქმნების მოწმენი და მონაწილენი ხართ. ჩვენი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის ხვალინდელი დღე კიდევ უფრო საინტერესო იქნება. დიდად განვითარდება ძრეწველობა. ჩვენ რამდენიმე წელიწადში, 5-6 წელიწადში, თავს დავაღწევთ ჩამორჩენას ეკონომიკის დარგში. სხვა დარგებშიც გვექნება დიდი ძერა და წინსვლა. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ ჩვენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების უფრო სრულფასოვანი შეკავშირებაა გვეყოლება. ჩვენ გვინდა, რომ ბავშვები, რომლებიც დღეს მონაწილეობენ საზოგადოებრივი სასარგებლო შრომაში, ვთქვათ, „ესესმე სემესტრის“ ბრიგადები, რომლებიც თქვენ რაიონებში ჩაისა და ყურძნის საკრეფად, წმენებლობებზე მიგყავთ, ასე ვთქვათ, სტიქიური შრომას არ ეწეოდნენ.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი შრომა როდია პედაგოგიური შინაარსის შემცველი, არამედ შრომა მხოლოდ მაშინ იძენს პედაგოგიურ შინაარს, აღმზრდელობითს შინაარსს და აღმზრდელობითს ღირებულებას, როდესაც ის შთაგონებულია დიდი მიზნით, დიდი იდეით, დიდი შინაარსით. როდესაც ამ მიზანს და შინაარსს შეესაბამება შრომის ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები. მხოლოდ ამ სიტუაციაში გვაძლევს ჩვენ შრომა პედაგოგიურ ეფექტს. წინააღმდეგ შემთხვევაში შრომა ნეიტრალური პროცესია. ამას გავსწავლის ჩვენ საბჭოთა პედაგოგიკა.

ამიტომ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა, რომლებიც ჩვენ სამუშაოდ გაგიყავს, რომლებიც შრომითი ცხოვრებისათვის ემზადებიან, უნდა იცოდნენ, რა საქმეს უყრიან ისინი საფუძველს თავისი ხალხისათვის, თავისი ერეპუბლიკისათვის, რა დიდი მნიშვნელობის ამოცანაა, რომ საქართველო მოწინავე პოზიციებზე გავიდეს, ჩამორჩენა დაძლიოს, ხალხმა კარგად იცხოვროს, მეტი ხელფასი მიიღოს, უკეთესი პირობები შეიქმნას ნიჭის გაფურჩქვნისათვის. წყდება დიდი სოციალური, პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა. ყველაფერი ეს ჩვენს ბავშვებს შეგნებული უნდა ჰქონდეთ. მაშინ მათი შრომა სახალისო და საინტერესო იქნება. თქვენ ეს ჩემგან არ გესწავლებათ. ჩვენ მიგვიჩნია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, სახალხო განათლების ორგანოების, კომკავშრის მუშაობა ბავშვთა შრომითი აღზრდის პრობლემებზე უფრო გამიზნული და მეცნიერულ საფუძველზე დამყარებული უნდა იყოს.

მრეწველობის განვითარების დიდ მომავალად ჩვენ ის მიგვიჩნია, რომ კიდევ უფრო ამაღლდება მუშათა კლასის ზოგადსაგანმანათლებლო, ტექნიკური და კულტურული დონე. სოციოლოგებმა, მაგალითად, გამოაქვეყნეს, რომ ერთი მეოთხედი უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება მუშისა, რომელსაც საშუალო განათლება აქვს, ვიდრე იმ მუშისა, რომელსაც 8 კლასის განათლება აქვს.

თქვენ ხომ გახსოვთ ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითება სოციალისტურ მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების მნიშვნელობის თაობაზე: აი, რა დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს იმას, თუ განათლების რა დონე აქვს დღეკანდელ მუშას. საშუალო განათლების მქონე მუშა 5-ჯერ უფრო მეტ რაციონალიზატორულ და გამომგონებლურ წინადადებას გვაძლევს, ვიდრე 8 კლასის განათლების მქონე მუშა. ამ პრობლემებთან ერთად ჩვენ ვაყენებთ ამოცანას, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს მუშა-ახალგაზრდობის საოჯახო. სწავლება. ამ პერსპექტივებს ძალიან საინტერესოდ სახავდა პატივცემული მარიამ ბუჩუკლაძე ამას წინათ პედაგოგიკის ინსტიტუტში შეხვედრისას. ჩვენი პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები გადაჭრით უნდა შემობრუნდნენ ამ საკითხებისაკენ.

განათლებული მუშა სოციალიზმის პირობებში — ეს მაღალი შრომის ნაყოფიერებაა. ამიტომ, ჩვენ ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქცეთ. ამასთან ერთად, მინდა ვთხოვო ამხანაგებს, ცოტა მეტი ვიფიქროთ სალამოს სწავლების, დაუსწრებელი სწავლების სრულყოფაზე. ამ ფორმების ხელოვნებით უგულებელყოფა არ ეარგა, არ შეიძლება. ჩვენ მეტი უნდა ვიფიქროთ სწავლა-აღზრდის ამ ფორმებზე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა უარეყოთ, უკეთგადოთ ის ავადმოსაგონარი წარსული, როცა სალამოს სკოლაში, დაუსწრებელი უმაღლესი და საშუალო დაუსწრებელი განათლების სისტემაში ხშირად შემთხვევითი ხალხი მოდიოდა, მოდიოდა მარტო სიმწიფის ატესტატისა და დამლომასთვის.

ასე ყველაფრის გაუფასურება შეიძლება. ასე საშიდიციონ ინსტიტუტიც გააუფასურეს თავის დროზე, თუმცა იქ დაუსწრებელი სწავლება არ იყო.

სალამოს სკოლებისადმი, დაუსწრებელი სწავლებისადმი მიდგომა სწორი და მეცნიერული უნდა იყოს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეეთანხმდეთ, თუ შეიძლება ასე ეთქვას, მოვახდინოთ სწავლების ამ ფორმათა, ამ მიმართულებათა რეაბილიტაცია ხალხის თვალში, დაეხმაროთ ახალგაზრდობას სალამოს და დაუსწრებელი სწავლების სისტემაში ჭეშმარიტი საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღოს.

ამოცანა ის არის, რომ ჩვენ მოსწავლეებს უნდა შევაყვაროთ შრომის რომანტიკა, ვუჩვენოთ შრომის ავტორიტეტი, შრომის ფასი და მშვენიერება, შრომის მნიშვნელობა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მბრძოლი შრომის მაგალითებზე უნდა აღვზარდოთ შრომისმოყვარე ახალგაზრდობა, რომელიც მტკიცედ იცის, რომ ვერც მატერიალური და ვერც სულიერ ღირებულებას ვერ შექმნი თუ პატიოსნად და გმირულად არ იშრომე.

თქვენს კლასებში მერხებს უსხედან მომავალი სტახანოველები და ინგენიერები, მომავალი ქვაზახიები და ალგაზომველები, მომავალი გალდაგები და ნოგინები, მომავალი ყუფუნიები და მომავალი ვოუბები და ხაჯიმურად გოიეკები, მომავალი ჭანჭიეები და სვანიქეები, უნვი მოსავლის ოსტატები, მომავალი შრომის გმირები, წარმოების ნოვატორები.

ახალგაზრდა მარქსი წერდა, რომ ყველაზე ბედნიერის ის იქნება, ვინც თავისი შრომით და ნიჭით ბედნიერებას მოუტანსო ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას.

ასე მომწიფებულად აზროვნებდა 17 წლის ჭაბუკი. 17 წლის ხომ სასკოლო ასაკია.

ამ მიზნით უნდა შემოდიოდეს ცხოვრებაში ყოველი მოზარდი.

ჩვენთან, ამხანაგებო, ყოველწლიურად, ეს თქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, 100 ათასზე მეტი ახალგაზრდა ამთავრებს საშუალო სკოლას, უმაღლეს სასწავლებელს, ტექნიკუმებს. ჩვენ არა ვართ ისეთი დიდი რესპუბლიკა, რომ ეს მეტრე რიცვართ ისეთი დიდი რესპუბლიკა, რომ ეს მეტრე რიცხვად მოგვიჩვენონს. 100 ათასი კაცი ერთდროულად შემოაბიჯებს ცხოვრებაში. ეს დიდი სოციალური, დიდი საზოგადოებრივი მოვლენა გახლავთ. ძალიან ბევრ რამ არის დამოკიდებული ამაზე, თუ რა შემოაქვს ყოველწლიურად ამ 100 ათას მოქალაქეს ჩვენს ცხოვრებაში, როგორი განწყობილება, როგორი ნაკადი შემოდის ცხოვრებაში.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ დასახა ამოცანა — ვიმუშაოთ ყველამ ნელიხელიკიდებულად, ისე, რომ ახალგაზრდობის ყოველი ნაკადის შემოსვლა ჩვენს საზოგადოებაში კეთილშობილურად

ფალი შეგნებული კიდევ ერთი თაობის შემოსვლას ნიშნავდეს. ეს რომ ასე იყოს, ჩვენ კარგად უნდა გავითვალისწინოთ ყველა ნიუანსი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდობის აღზრდასთან, მათ შორის ისეთი ნიუანსები, როგორიც არის ინტელექტუალური მომწიფება და ასაკობრივი პრობლემა, როგორიც არის ფიზიკური მომწიფება და ასაკობრივი პრობლემა, აქსელერაციის პრობლემა. ხომ სავსებით სწორად ამბობდნენ ამას წინათ ფსიქოლოგები: ახალგაზრდობის სოციალური მომწიფება ჩამორჩება ინტელექტუალურ და ფიზიკურ მომწიფებასო. ეს სერიოზული მოგლენებია, ძალიან სერიოზული.

ვითვალისწინებთ კი ჩვენს მუშაობაში ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს? სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ვითვალისწინებთ. აქედან გამომდინარეობს სერიოზული ნაკლოვანებები ზნეობრივი აღზრდის სფეროში. ჩვენ კი, მიგვიჩნია, რომ სკოლა კომუნისტური ზნეობის ციტადელი უნდა იყოს! სხვა მოთხოვნა არ იყო, არ არის და არც იქნება. ჩვენი აზრით, სკოლა კვლავაც ამ თავისებურებათა გათვალისწინებით, ყოველგვარი ანტიბოღეური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ციტადელი უნდა იყოს. სკოლა კვლავაც უნდა გვეზმარებოდეს ჩვენს რესპუბლიკაში მორალური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური კლიმატის შემდეგომი გაჯანსაღების საქმეში. ეს რომ ასე იყოს, როგორც ბტყოდა სუხომლინსკი, ზნეობრივ-მორალური იდეალების ბრძოლის სფეროში უნდა შეგიყვანოთ თვითეული მოსწავლე. იგი უნდა ეზიაროს ამ ბრძოლის სირთულეებს, სიძნელეებს და გამოიწრთოს ამ ბრძოლაში, გამოვიდეს გამოწრთობილი პიროვნება და მოქალაქე.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე თქვა, რომ რაც უფრო მაღლდება და გართულდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო მოუთმენელი ხდება სოციალისტური ზნეობის ნორმების დარღვევის ყოველი ფაქტი. გამომძალველობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგანობა, ბიუროკრატიზმი, გულგრილობა და სხვა მსგავსი მოვლენები ეწინააღმდეგება თვით ჩვენი წყობილების ბუნებას. პარტია მოგვიფოფინებს ვებრძოლოთ ამ ამორალურ მოვლენებს შრომითს კოლექტივებში აქტიური საზოგადოებრივი აზრის გაღვივებით, ბეჭდვითი სიტყვის კრიტიკული სიმახვილით, დარწმუნების მეთოდით და კანონის ძალით, ყველა საშუალებით, რაც კი ჩვენს განკარგულებაშია.

აღზრდა ემყარება დარწმუნების მეთოდს: ძალით კაცს ვერ აღზრდი. მხოლოდ დარწმუნების გზით შეიძლება ადამიანში აანთო რწმენის ჩირაღდანი, რომელიც მას გზას გაუნათებს ცხოვრებაში.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ ამას, რომ ზნეობრივი აღზრდის დარგში სკოლამ და ოჯახში დავამყაროთ ერთიანი მორალური მოთხოვნები. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის პირობებში, რადგანაც მრავალი ოჯახი იყო ტრადიციებული და დემორალიზებული კომბინატორების, მეტრთამეტეებს, გამომძალველებისა და სხვა ანტისოციალურ ელემენტების მომძლავრების პერიოდში.

ამხანაგებო, ჩვენ უნდა დავარაზმოთ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, განათლების ორგანოები ისეთი, რომ ჩვენს სკოლაში ზნეობის ბრძოლებზე აღზრდილი ახალგაზრდობა. ასეთია ეპოქის მოთხოვნა, ასეთია პარტიის მოთხოვნა, ასეთია საქართველოს პედაგოგთა IV ყრილობის მოთხოვნა.

ჩვენს ყრილობაზე დიდი ყურადღება დაეთმო მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის პრობლემებს. და ეს გასაგებია, რადგანაც ბირთვენის ფორმირების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროგრამაში ესთეტიკურ აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ესთეტიკური აღზრდის გარეშე წარმოუდგენელია ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება.

ჩვენ უნდა ავამოძრაოთ, ბავშვთა აღზრდის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ ესთეტიკური აღზრდის მთელი სისტემა — თეატრი, კინო, მუსიკა, მხატვრობა და სხვ. ამ დარგში გასაკეთებელი ბევრია. ჩვენ ამის ბევრი მაგალითი გვაქვს.

ავიღოთ ცნობილი კომპოზიტორის დიმიტრი კაბალევსკის მაგალითი. ეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნებაა ჩვენს ქვეყანაში ბავშვებთან მეგობრობის გამოც, იმის გამო, რომ ის დიდ ამაგს სდებს ამ საქმეს. ჩვენ მივესალმებით საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შესანიშნავ წამოწყებას ახალციხეში ბავშვთა ინტერნაციონალური თვითმოქმედი კოლექტივის ჩამოყალიბების თაობაზე.

ასეთი ბევრი წამოწყება აქვთ მხატვართა კავშირს, მწერალთა კავშირს. ლაპარაკი ამაზე, რომ ინტელიგენციამ მიეიდეს სკოლაში. ვარწმუნებთ ჩვენს სახელოვან მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, კინემატოგრაფისტებს, თეატრის მოღვაწეებს, მეცნიერებს, რომ ისინი სკოლაში აღმონაჩენებად ახალ სამყაროში, ახალი ადამიანების, გასაოცრად საინტერესო და საოცრად მიმზიდველ სამყაროში. ვფიქრობთ, არც სკოლა და არც ჩვენი ინტელიგენცია ერთიერს არ დაკარგავს ასეთი მეგობრობით და ასეთი თანამშრომლობით.

მწერლებმა არა მარტო კარგი ნაწარმოებები უნდა შექმნან მასწავლებლებზე, მოსწავლეებზე, სკოლაზე, არამედ, საბჭოთა კავშირის მოწინავე სკოლების მაგალითისამებრ, უნდა უხელმძღვანელონ ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა შემოქმედებითს სემინარებს, ენისა და ლიტერატურის აკადემიურ წრეებს სკოლებში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასკოლო სახელმძღვანელოებს, ქრესტომათიებს შედგენაში და სხვ.

სკოლა ვალდებულია კოჭებზეკე შეატყოს გენიოსს გენიოსობა, ნიჭიერს ნიჭიერება. „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“. ეს ერთი მხრივ. მეორე მხრივ, სკოლა მოვალეა აღზარდოს ახალგაზრდა თაობა იმ სულისკვეთებით, რომ მასები ფლობდნენ ესთეტიკურ ღირებულებებს. „ხელოვნება ეკუთვნის ხალხს“ — ამბობდა ლენინი და ეს უბრალოდ ყოველთა სკოლის მეშვეობით უნდა მოხდეს.

ორიოდე სიტყვა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე. მე სავსებით ვეთანხმები ამს. ოთარ ჭინქლაძეს და სხვა ამხანაგებსაც, რომ ჩვენ გარკვეული ნაბიჯისა და შეშფოთების საფუძველი გვაქვს; ფიზიკური ნაკლი, სისუსტე, ფიზიკური სიმახინჯეც კი გარკვეულ წილად ვრცელდება. თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ ამ მხრივ ასებული მდგომარეობა. ჩვენ კატეგორიულად უნდა შევიკავოთ ამ საკითხისადმი დამოკიდებულება. ზოგიერთს ჰგონია, რომ ბურთის თამაში, საერთოდ თამაში ერთგვარად ეწინააღმდეგება სწავლას. ეს, ნებისთვის თუ უნებლიეთ ანტიპედაგოგიური განწყობილება გახლავთ.

ფიზიკური აღზრდის საქმე, ისევე როგორც სამხედრო-პატრიოტიული აღზრდის საქმე, უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეა. და თუ ჩვენ ამ მდგომარეობას არ გამოვასწორებთ, თუ ჩვენ ამ საქმეში გარდატეხას არ შევიტანთ, მომავალი თაობები ამას არ გვაპატიებენ. ჯერ კიდევ ა. ლუნაჩარსკი აკრიტიკებდა ყველას, ვისაც ეგონა, რომ მხოლოდ იდეას, სულს უნდა მიეხედოთ, ხოლო სხეულისათვის ზრუნვა ბურჟუაზიული გადმონაშთიაო.

ჩვენ ასეთნაირად ვაყენებთ დღეს ამოცანას: მძვინარეთ მოწოდებით პარტიულ კომიტეტებს, საბჭოთა ორგანოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, ვიზრუნოთ ყველამ ერთად ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტისათვის, აღვზარდოთ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ახალგაზრდობა. ეს ჩვენი დღევანდელობის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს სკოლებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ.

პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიონულმა, საქალაქო, საოლქო კომიტეტებმა, განათლების ორგანოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ეს დადგენილება სკოლაში ფიზიკური აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

კომუნისტი მხოლოდ ფიზიკურად ძლიერ თაობას, მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანებსა და თაობებს შეუძლიათ ააშენონ.

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდად იფასებს სახალხო განათლების ორგანოების მუშაკთა გადაწყვეტილებას — დღეს მეოთხეთ უკეთ, ვიდრე გუშინ, ხოლო ხვალ უკეთ, ვიდრე დღეს. მხოლოდ ასე შევძლებთ ჩვენ გარდავქმნათ სასწავლო-საალმზრდელო პროცესი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

შევთანხმდეთ ერთ საკითხზე: ჩვენ ყველანი ერთიანდ [illegible] ამ [illegible] ოფიციალურ [illegible] ოფიციალურ [illegible] ოფიციალურ

კოსმოსელი თბილისში

ვ. სევასტიანოვი: „ყოველ კოსმონავტს სწადია ნახოს თქვენი შესანიშნავი რესპუბლიკა“

ნუსრათზე: სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვიტალი სევასტიანოვი (მარცხნიდან მეორე) ათვალიერებს თბილისს.

ფ. კეშელავის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავმა, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ვიტალი სევასტიანოვმა, რომელიც ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა ფუნდების საკავშირო შეჯიბრებაზე. თავისი ხანმოკლე ვიზიტი ამით დაიწყო, რომ ეწვია საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტს. ეს მომხიბლავი კაცი პირველი შეხვედრისთანავე გატყვევებთ თავისი სათნოებით, თავმდაბლობით. ასე რომ შეგვიძლია ვთქვათ: მკაცრ კოსმოსს ყველაზე ადამიანური ადამიანები „ამზადებენ“.

რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ბაქრაძემ, რომელიც ძმურად მიეალმა საპატიო სტუმარს, თქვა, რომ ბიუროს გადაწყვეტილებით სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი ვ. სევასტიანოვი დაჯილდოებულია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით, ხოლო მისი სახელი შეტანილია რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში. საქართველოში გატარებული დღეების სამახსოვროდ კოსმონავტს გადაეცა თეთრი ნაბადი.

საპასუხო სიტყვაში ვ. სევასტიანოვმა საქართველოს კომკავშირს, რესპუბლიკის მთელ ახალგაზრდობას გულითადი სალამი გადასცა საბჭოთა კოსმონავტების ინტერნაციონალური რაზმის სახელით.

— ყოველი ჩვენი კოსმონავტი ისწრაფვის თქვენს შესანიშნავ რესპუბლიკაში ჩამოვიდეს, — თქვა მან.

ილაპარაკა რა კოსმონავტების მუშაობაზე, ვ. სევასტიანოვმა, რომელიც ორჯერ იყო კოსმოსში და იქ სულ 81 დღე გაატარა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი კოლეგების ფუნქციები პირველ გაფრენებთან შედარებით გაცილებით გართულდა. კოსმოსში ყოფნის პროგრამაში ორენის ხანგრძლივობის მიუხედავად შედის სამი ნაწილი; ტექნიკური ექსპერიმენტები, სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევა და მეცნიერული ექსპერიმენტების კომპლექსი, რაც სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებს ემსახურება. ამ უკანასკნელს „კოსმოსური ოდისეის“ მთელს დროის დაახლოებით 70 პროცენტი უკავია. კოსმოსიდან ჩამოტანილი ინფორმაციის პრაქტიკული გამოყენება სახელმწიფოს ათობით და ასობით მილიონ მანეთს უზოგავს. მაგალითად, „ზემოდან გადმოხედვამ“ დაგვანახვა ყაზახეთში მდებარე მტკნარი წყლის ახალი დიდი ბუდეობები, ახალი ნავთობის საბადოები.

— დღეიანდელი კოსმონავტები, — თქვა შემდეგ ვ. სევასტიანოვმა, — არიან გამომცდელები, მკვლევარები, ყველას უმაღლესი ტექნიკური განათლება აქვს, გვყავანან მეცნიერების კანდიდატები და დოქტორებიც. დედამიწაზე მუშაობისას ნახევარზე მეტს ისინი ლაბორატორიებში არიან, აქტიურად მონაწილეობენ ხომალდების შექმნაში.

ვ. სევასტიანოვმა უპასუხა შეკრებილთა კითხვებზე. ხოლო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრის ლ. თედიაშვილის თხოვნაზე, კოსმონავტთა რაზმში სპორტსმენებიც ჩარიცხეთო, თბილისის სტუმარმა დამილით თქვა, ეს შეუძლებელიაო.

— თქვენი წონითი კატეგორია, — გაიხუმრა კოსმონავტმა, — ჩვენსაა არ შეესაბამება. თქვენ უსაფრთხროთაც კი მეტს იწონით, ვიდრე ჩვენ — სრული აღჭურვილობით.

თავის მხრივ, ვ. სევასტიანოვი დაინტერესდა, როგორ გახდა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობათა გამარჯვებული უძლიერესი სამბისტთა შორისაც, როგორ გახდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

შემდეგ სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ეწვია კომკავშირულ უბანს — ბორის ძნელაძეს, და საპატიო სტუმრების წიგნში დატოვა ჩანაწერი, რომელშიც მადლი შეფასება მისცა ამ უბნის ტექნიკურ აღჭურვას.

ამაღე დღეს ვ. სევასტიანოვი გაეცნო თბილისის, მცხეთისა და გორის ღირსშესანიშნაობებს.

საქინფორმის კორესპონდენტმა ვ. სევასტიანოვს ჰკითხა, რას უსურვებდა რესპუბლიკის ახალგაზრდობას. კოსმონავტმა უპასუხა: — მიზანსწრაფვას, გამრჯელობას და ხალხის ერთგულ სამსახურს.

(საქინფორმი).

ზრუნვა და ყურადღება — შემოქმედ ახალგაზრდობას

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე

მწერალთა სასახლეში [illegible] საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი გაიმართა. [illegible] ცენტრალური კომიტეტის [illegible] „ცენტრალური კომიტეტის [illegible] ნილება „შემოქმედებითს ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ და საქართველოს მწერალთა კავშირის ამოცანები. ასეთი იყო პლენუმის დღის წესრიგი, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრ. აბაშიძემ.

პლენუმმა მოისმინა მწერლებისა და კრიტიკოსების მოხსენებები: გ. ასათიანისა „ახალგაზრდული ქართული პოეზია“, გ. გეგეჭკორელისა — „ახალგაზრდული პროზა“, ა. სულაკაურისა — „ახალგაზრდული საბავშვო მწერლობა“, გ. ხუბაშვილისა — „დრამატურგია“, ზ. აბზიანიძისა — „კრიტიკა“, ო. ნოდიასი — „თარჯმანები“, ჟ. ბერეტელიანი — „ჟურნალ „ცისფერყანწელი“ [illegible] ბერეტელიანი, ბ. ბარაქიძე (მწერალთა კავშირის აპარატი), ნ. ბარაქაანი, ბ. ალანია (აფხაზეთის მწერალთა კავშირი), ზ. გორგილაძე (მწერალთა კავშირის აპარატი), ბ